სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №29

ქ. თბილისი *04.10.2010 წ.*

დღის წესრიგი:

1. სსიპ – კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს/ან მის ტერიტორიულ ორგანოს შორის გაფორმებული უზუფრუქტის ხელშკრულების შეწყვეტა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მომავალი წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა საერთო რაოდენობის განსაზღვრა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. სხვადასხვა.

სხდომას ესწრებოდა წარმომადგენლობითი საბჭოს 23 წევრი:

1. ელგუჯა მექვაბიშვილი; 2. მიხეილ ჩიკვილაძე; 3. ენვერ ლაგვილავა; 4. ნუგზარ თოდუა; 5. სოფიო ქვარცხავა; 6. ქეთევან მჭედლიშვილი; 7. გივი ჭლიკაძე; 8. შოთა სამსონია; 9. კობა გელაშვილი; 10. ვასილ გუბაძე; 11. თამარ შოთაძე; 12. გიორგი კვერენჩხილაძე. 13. გიორგი კახიანი; 14. ბექა ბენდელიანი; 15. გიორგი გალდავა; 16. ნინო ცინცაძე; 17. კონსტანტინე ნახუცრიშვილი; 18. კახაბერ ლორია; 19. რამაზ ქურდაძე; 20. ქეთევან ხუციშვილი; 21. ცირა ბარამიძე; 22. მიხეილ ბახტაძე; 23. ბექა ახლოური (დანართი 1).

წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული.

1. სპიკერის მიერ საბჭოს წინაშე განსახილველად წარმოდგენილი იქნა სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის დავით

ჩომახიძის 2010 წლის 4 ოქტომბრის №1142/01-02-04-13 წერილი, რომლითაც ირკვევა, რომ „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგიერთი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების რეორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის №274 დადგენილების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სსიპ – კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი რეორგანიზებულ იქნა სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულად (დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულად) უნივერსიტეტთან შეერთების გზით.

ამავე დადგენილების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ზემოხსენებული რეორგანიზაციის შედეგად სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩაითვალა სსიპ – კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის უფლებამონაცვლედ. შესაბამისად, დღეის მდგომარეობით უნივერსიტეტზე გადმოვიდა ყველა ის უფლება და ვალდებულება რაც ზემოხსენებულ ინსტიტუტს გააჩნდა რეორგანიზაციამდე.

სსიპ – კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს/ან მის ტერიტორიულ ორგანოს შორის გაფორმებული იქნა ხელშკრულება, რომლის საფუძველზეც ინსტიტუტს უსასყიდლო უზუფრუქტის წესით სარგებლობაში გადაცემული აქვს სახელმწიფო უძრავი ქონება.

წარმოდგენილი წერილის პროექტის მიხედვით სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიზანშეწონილად არ მიაჩნია სსიპ – კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის უფლებამონაცვლეობის გაგრძელება ამ ნაწილში.

საკითხის შესახებ გაიმართა მსჯელობა, რომელსიც მონაწილეობა მიიღეს სენატის წევრებმა: ცირა ბარამიძემ, თამარ შოთაძემ, გიორგი კვერენჩხილაძემ, ელგუჯა მექვაბიშვილმა, შოთა სამსონიამ, ქეთევან ხუციშვილმა.

სენატის წევრები ასევე დაინტერესდნენ სხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რეორგანიზაციის პროცედურებით, რის შესახებაც განმარტება გააკეთა თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლმა დავით ჩომახიძემ.

მსჯელობის დასრულების შემდეგ გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21

წინააღმდეგი – 2

თავი შეიკავა – 0

მიღებული გადაწყვეტილება:

დაიწყოს სსიპ – კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს/ან მის ტერიტორიულ ორგანოს შორის გაფორმებული უზუფრუქტის ხელშკრულების შეწყვეტის პროცედურები.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კახაბერ ლორიამ საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ სულ მალე უფლებამოსილება უმთავრდება 2006 წლის შემოდგომაზე არჩეულ წარმომადგენლობით საბჭოს და ამიტომ უახლოეს ხანებში უნდა დაინიშნოს წარმომადგენლობითი საბჭოს ახალი არჩევნები. ამასთან დაკავშირებით სპიკერმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის წესდების მიხედვით მომავალი წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა საერთო რაოდენობის განსაზღვრა კანონმდებლობით დადგენილი წესით ამჟამინდელი სენატის მიერაა განსახორციელებელი. სპიკერმა საბჭოს მოახსენა, რომ მან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაიარა არაერთი კონსულტაცია უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენის წარმომადგენლებთან, ასევე მიიღო ოფიციალური ინფორმაცია უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელ ნათელა ლაცაბიძისგან აკადემიური პერსონალის რაოდენობის შესახებ ფაკულტეტების მიხედვით (დანართი 2), უნივერსიტეტის სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელ რუსუდან ჩიქოვანისგან ფაკულტეტების მიხედვით სტუდენტთა რაოდენობის (დანართი 3) და ფაკულტეტებზე ასისტენტ-პროფესორთა შორის დოქტორანტთა რაოდენობის შესახებ (დანართი 4). სპიკერმა დაწვრილებით გააცნო სენატს ზემოაღნიშნული კონსულტაციების

შინაარსი და ხსენებული დოკუმენტები, რომელთა ასლები დაურიგდათ კიდეც სენატის წევრებს. კ. ლორიამ განაცხადა, რომ ერთის მხრივ სასურველია, შეირჩეს სენატის საერთო წევრთა ისეთი რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ფაკულტეტის ღირსეულ წარმოჩენას ამ წარმომადგენლობით ორგანოში და მინიმუმადე დაიყვანს იმ რაოდენობრივ დანაკარგს, რაც რომელიმე ფაკულტეტმა შეიძლება განიცადოს იმის გამო, რომ ბოლო წლებში ამ ფაკულტეტზე პროფესურის ან სტუდენტთა რაოდენობა შედარებით შემცირდა. ამ თვალსაზრისით სპიკერმა მიზანშეწონილად მიიჩნია სენატის მომავალ წევრთა საერთო რაოდენობის გარკვეულწილად გაზრდაც კი დღევანდელ სენატთან შედარებით. იმავდროულად კახაბერ ლორიამ აღნიშნა, რომ სენატის წევრთა საერთო რაოდენობა არ შეიძლება გაიზარდოს თვითმიზნურად და უზომოდ, ვინაიდან ეს დადებითად არ წაადგება ორგანოს ქმედუნარიანობას. ასევე გარკვეულწილად სასურველია, აღნიშნა სპიკერმა, სენატის წევრთა ისეთი საერთო რაოდენობის შერჩევა, რომელიც უზრუნველყოფს პროპორციულობის პრინციპის მაქსიმალურად შესაძლო დაცვას არამარტო დღევანდელი მდგომარეობით, არამედ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მაგალითად, სრულად შეივსება აკადემიური პერსონალის ის ვაკანსიები, რომელიც უნივერსიტეტის საშტატო განრიგითაა გათვალისწინებული.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შესაბამის გამოთვლებზე დაყრდნობით სპიკერმა საბჭოს შესთავაზა მომავალი სენატის წევრთა საერთო რაოდენობა განისაზღვროს 40 წევრით, რაც კანონმდებლობით დადგენილი წესიდან და უნივერსიტეტის წესდებიდან გამომდინარე ითვალისწინებს სენატში 14 სტუდენტის, 25 პროფესორის და აკადემიური საბჭოს მიერ არჩეული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის წევრობას. ამ შემთხვევაში, აღნიშნა სპიკერმა, დღევანდელი დღის მონაცემებიდან გამომდინარე და პროპორციულობის პრინციპის დაცვით, ფაკულტეტების მიხედვით ასარჩევი იქნება:

ა) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი :

აკადემიური პერსონალი – 7 წევრი, სტუდენტი – 3 წევრი;

ბ) იურიდიული ფაკულტეტი :

აკადემიური პერსონალი – 2 წევრი, სტუდენტი – 3 წევრი;

გ) მედიცინის ფაკულტეტი :

აკადემიური პერსონალი – 3 წევრი, სტუდენტი – 1 წევრი;

დ) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი :

აკადემიური პერსონალი – 4 წევრი, სტუდენტი – 2 წევრი;

ე) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი :

აკადემიური პერსონალი – 6 წევრი, სტუდენტი – 2 წევრი;

ვ) ეკონომიკისა და ბიზანესის ფაკულტეტი :

აკადემიური პერსონალი – 3 წევრი, სტუდენტი – 3 წევრი

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაიმართა დისკუსია: სენატის წევრმა, უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა ვასილ გუბაძემ განაცხადა, რომ სპიკერის მიერ წარმოდგენილი ვარიანტი მომავალი სენატის წევრთა რაოდენობის შესახებ არამარტო შეესაბამება კანონმდებლობასა და თსუ-ს წესდებას, არამედ სრულად ითვალისწინებს სტუდენტთა ინტერესებს, ზრდის რა სენატში მათ საერთო რაოდენობას 14 წევრამდე და თანაც ისე, რომ არ მცირდება სენატის სტუდენტ წევრთა რაოდენობა რომელიმე ფაკულტეტიდან, არამედ მხოლოდ ემატება იურიდიულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტებს. სენატის წევრმა, ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორმა ელგუჯა მექვაბიშვილმა სინანული გამოთქვა, რომ მისი ფაკულტეტი მომავალ სენატში ერთით ნაკლებ აკადემიურ პერსონალს აირჩევს, მაგრამ განაცხადა, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული პროპორციულობის პრინციპის განუხრელი დაცვა მაინც აუცილებელია. სენატის წევრებმა, იურიდიული ფაკულტეტის პროფესორებმა გიორგი კვერენჩხილაძემ და გიორგი კახიანმა ასევე გამოთქვეს სინანული იმასთან დაკავშირებით, რომ მათი ფაკულტეტიც ერთით ნაკლებ აკადემიურ პერსონალს აირჩევს მომავალ სენატში. ამასთან დაკავშირებით სპიკერმა კ. ლორიამ აღნიშნა, რომ იურიდიულ ფაკულტეტზე ძალზე ბევრი დოქტორანტი ასისტენტ-პროფესორია, რომლებიც მომავალ არჩევნებში, კანონმდებლობიდან გამომდინარე, როგორც სტუდენტები ისე მონაწილეობენ და არაა გამორიცხული ამ ფაკულტეტზე სტუდენტთათვის დამატებულ ერთ ადგილზე, რომელიმე მათგანი იყოს არჩეული. სენატის წევრებმა გიორგი გალდავამ და ცირა ბარამიძემ მხარი დაუჭირეს სპიკერის მიერ წარმოდგენილ ვარიანტს მომავალი სენატის წევრთა რაოდენობის შესახებ, აღნიშნეს რა, რომ მოცემულ ვითარებაში ესაა სავსებით მისაღები და რეალისტური შემოთავაზება. დისკუსიაში აგრეთვე მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა არჩილ კუკულავამ და ამავე დეპარტამენტის ექსპერტმა ვასილ ბარამიძემ.

დისკუსიის შემდეგ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 20

წინააღმდეგი – 3

თავი შეიკავა – 0

მიღებული გადაწყვეტილება:

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მომავალი წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა საერთო რაოდენობა კანონმდებლობით დადგენილი წესით განისაზღვროს 40 წევრით. მათ შორის: აკადემიური საბჭოს მიერ არჩეული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი და 39 წევრი (14 სტუდენტი და 25 პროფესორი) ფაკულტეტების მიხედვით:

ა) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი :
აკადემიური პერსონალი – 7 წევრი, სტუდენტი – 3 წევრი;

ბ) იურიდიული ფაკულტეტი :
აკადემიური პერსონალი – 2 წევრი, სტუდენტი – 3 წევრი;

გ) მედიცინის ფაკულტეტი :
აკადემიური პერსონალი – 3 წევრი, სტუდენტი – 1 წევრი;

დ) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი :
აკადემიური პერსონალი – 4 წევრი, სტუდენტი – 2 წევრი;

ე) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი :
აკადემიური პერსონალი – 6 წევრი, სტუდენტი – 2 წევრი;

ვ) ეკონომიკისა და ბიზანესის ფაკულტეტი :
აკადემიური პერსონალი – 3 წევრი, სტუდენტი – 3 წევრი

3. სხვადასხვა

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, პროფესორმა ცირა ბარამიძემ წამოჭრა საკითხი უნივერსიტეტის ქონებასთან დაკავშირებით. მას კონკრეტულად აინტერესებდა ტაბახმელას სასწავლო-საკონფერენციო ცენტრის სტატუსი და აგრეთვე, უნივერსიტეტის სტუდ-ქალაქის საკითხი, რომელიც, მისი აზრით, საფუძვლიან რეაბილიტაციას მოითხოვს, რისთვისაც უნდა მოხდეს შესაბამისი გეგმის შემუშავება. ცირა ბარამიძემ ასევე ისაუბრა, მისი აზრით, არასრულყოფილ და გარკვეულწილად არასამართლიან სქემაზე, რომლითაც ნაწილდება ხელფასები სხვადასხვა ფაკულტეტებს შორის. ც. ბარამიძემ აღნიშნა, რომ მომდევნო წლის ბიუჯეტის შედგენისას ადმინისტრაცია მაქსიმალურად უნდა შეეცადოს იმ უთანასწორებების აღმოფხვრას, რაც ამ მხრივ უნივერსიტეტში არსებობს.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა თამარ შოთაძემ წამოჭრა საკითხი უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასადილოს შესახებ, სადაც მისი აზრით, სიძვირეა და ამიტომ უნდა დაწესდეს გარკვეული შეღავათები სტუდენტებისა და უნივერსიტეტის თანამშრომლებისათვის. ეს შეიძლება მოხდეს საბარათო სისტემის შემოღებითაც, როგორც საზღვარგარეთის არაერთ უნივერსიტეტშია, აღნიშნა თ. შოთაძემ.

ცირა ბარამიძისა და თამარ შოთაძის მიერ წამოჭრილი საკითხების გარშემო გაიმართა მსჯელობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სენატის წევრებმა: გიორგი კვერენჩხილაძემ, კახაბერ ლორიამ, რამაზ ქურდაძემ, გიორგი გალდავამ. მსჯელობაში მონაწილეობა მიიღო და წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებული ზოგიერთი მომენტი განმარტა უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელმა არჩილ კუკულავამ.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით კენჭისყრა არ გამართულა.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი კახაბერ ლორია

სხდომის მდივანი ბ. ბენდელიანი ბექა ბენდელიანი

სენატის სხდომის ოქმის (N29) დანართი - 1

თსუ-ს სენატის სხდომა

თარიღი: 04.10.10

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

1. ელგუჯა მექვაბიშვილი, სრული პროფესორი
2. მიხეილ ჩიკვილაძე, პროფესორი
3. ენვერ ლაგვილავა, პროფესორი
4. ნუგზარ თოდუა, სრული პროფესორი
5. სოფიო ქვარცხავა, სტუდენტი
6. ქეთევან მჭედლიშვილი, სტუდენტი
7. გივი ჭლიკაძე, სტუდენტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

1. დავით კერესელიძე, სრული პროფესორი
2. შოთა სამსონია, სრული პროფესორი
3. კობა გელაშვილი, სრული პროფესორი
4. არნოლდ გეგეჭკორი, პროფესორი
5. ვასილ გუბაძე, სტუდენტი
6. მიხეილ ადუაშვილი, სტუდენტი

იურიდიული ფაკულტეტი

1. თამარ შოთაძე, პროფესორი
2 გიორგი კვერენჩხილაძე- პროფესორი
3 გიორგი კახიანი- პროფესორი
4. გიორგი შამათავა, სტუდენტი
5. ბექა ბენდელიანი, სტუდენტი

მედიცინის ფაკულტეტი

1. ზურაბ ფაღავა, ასოცირებული პროფესორი
2. გიორგი გალდავა- პროფესორი
3. ნინო ცინცაძე, სტუდენტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

1. თამარ გაგოშიძე, სრული პროფესორი
2. გია ჟორჟოლიანი , პროფესორი
3. გიორგი გოგსაძე, სრული პროფესორი
4. კონსტანტინე ნახუცრიშვილი, სტუდენტი

ჰუმანიტარული ფაკულტეტი

1. კახაბერ ლორია, სრული პროფესორი
2. რამაზ ქურდაძე, სრული პროფესორი
3. ქეთევან ხუციშვილი, სრული პროფესორი
4. ცირა ბარამიძე, სრული პროფესორი
5. მიხეილ ბახტაძე, პროფესორი
6. ანა ბოჭორიშვილი, სტუდენტი
7. ავთანდილ აბდუშელიშვილი, სტუდენტი
8. ბექა ახლოური, სტუდენტი

სტუდენტური სქოლომ ოქმი (N29) დანართი -2

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს
ბ-ნ. კახაბერ ლორიას

ბატონო კახაბერ,

წარმოგიდგენთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის რიცხოვნობას ფაკულტეტების მიხედვით 2010 წლის 4 ოქტომბრის მდგომარეობით (დანართი 1 გვ.).

პატივისცემით,

ნათელა ლაცაბიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
შემოსული № 2505 8/2 33-2
„04" 10 2010 წ.
ხელმოწერა

აკადემიური პერსონალის შემადგენლობა 2010 წლის 4 ოქტომბრის მდგომარეობით

#	ფაკულტეტი	სამტატო რიცხოვნობა	დაკავებული	ვაკანსია
1	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	168	164	4
2	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	197	191	6
3	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	112	99	13
4	ეკონომიკისა და ბიზნესის	101	77	24
5	იურიდიული	92	71	21
6	მედიცინის	80	79	1
7	სულ	750	681	69

სენატის სხდომის ოქმი (N 29) დანართი-3

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს
ბატონ კახაბეს ლორიას

ბატონო კახაბერ,

გაწვდით ინფორმაციას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა რაოდენობის შესახებ „სასწავლო პროცესისს მართვის სისტემის“ 2010 წლის 4 ოქტომბრის მონაცემების საფუძველზე ფაკულტეტების მიხედვით (დანართი 1).

პატივისცემით,

სასწავლო დეპარტამენტის უფროსი რუსუდან ჩიქოვანი

ივანე ჯ[illegible] სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
შემოსული № 2502/1 გვ. 2
„04“ 10 2010 წ.
ხელმოწერა

ცხრილი 1

აქტიური სტუდენტები

ფაკულტეტი	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	დოქტორანტურა	ჯამი
ეკონომიკისა და ბიზნესის	3099	215	87	3401
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	2168	283	109	2560
იურიდიული	2478	190	63	2731
მედიცინის	540	13	62	615
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	2051	224	83	2358
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	2616	218	306	3140
საჯარო მმართველობა (ბიზნესი და ეკონომიკა)		13		13
ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა		80		80
ევროპისმცოდნეობა		49		49
სულ ჯამი:	12952	1285	710	**14947**

სტატუს შეჩერებული სუდენტები

ფაკულტეტი	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	დოქტორანტურა	ჯამი
ევროპისმცოდნეობა		5		5
ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა		40		40
ეკონომიკისა და ბიზნესის	669	46	3	718
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	387	53		440
იურიდიული	362	56	37	455
საჯარო მმართველობა (ბიზნესი და ეკონომიკა)		23		23
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	222	41		263
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	614	32	11	657
მედიცინის	61			61
სულ ჯამი:	2315	296	51	**2662**

სულ საერთო ჯამი: **17609**

სენატის სხდომის ოქმი (N29) დანართი-4

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს
ბატონ კახაბეს ლორიას

ბატონო კახაბერ,

გაწვდით ინფორმაციას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმ ასისტენტ-პროფესორთა შესახებ, რომლებიც არიან ამავე უნივერსიტეტის დოქტორანტები (დანართი 1).

პატივისცემით,

სასწავლო დეპარტამენტის უფროსი რუსუდან ჩიქოვანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
შემოსული № 25122/02 გვ. 3
"09" 10 2012 წ.
ხელმოწერა

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

1. არჩუაძე მაია
2. ზვიადაძე შალვა
3. მაცაბერიძე ბიძინა
4. ტოკლიკიშვილი ზაზა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

1. აკობია ეკა
2. ბოკუჩავა თამარი
3. ბურძენიძე მარინა
4. გედევანიშვილი ირინე
5. დოლბაია თამარი
6. დონაძე ნათელა
7. თევდორაძე სოფიო
8. ლომიძე ელზა
9. მემანიშვილი მაგდა
10. ღვინერია ირინა

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

1. თაბუაშვილი აპოლონი
2. კლდიაშვილი გიორგი
3. ტაბუცაძე სოლომონი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

1. მეყანწიშვილი ეკატერინე

მედიცინის ფაკულტეტი

1. გურგენიძე მამუკა

იურიდიული ფაკულტეტი

1. ბერეკაშვილი დიანა *(შეჩერებული აქვს სტატუსი)*
2. ბრეგვაძე ლაშა
3. გელაშვილი ირმა
4. გვარამაძე თამარი
5. გოგიბერიძე გია
6. გორაშვილი გიორგი
7. კახიძე ირაკლი
8. კევლიშვილი მარიამი *(შეჩერებული აქვს სტატუსი)*
9. მაღლაკელიძე ლავრენტი *(შეჩერებული აქვს სტატუსი)*
10. მჭედლიშვილი ვახტანგი
11. ონიანი სულხანი
12. ოხანაშვილი ანრი *(შეჩერებული აქვს სტატუსი)*
13. ჟვანია ნინა

14. რუხაძე ნინო
15. სურმავა ლიტა *(შეჩერებული აქვს სტატუსი)*
16. ქოჩაშვილი ქეთევანი
17. ღვამიჩავა თამარი *(შეჩერებული აქვს სტატუსი)*
18. ყანდაშვილი ირაკლი
19. შოთაძე თამარი
20. ჩაჩავა სოფიო
21. ჩაჩანიძე ელზა
22. ცქიტიშვილი თემური
23. ძამუკაშვილი მაკა
24. წიგნაძე ანა *(შეჩერებული აქვს სტატუსი)*
25. ხარანაული ლევანი
26. ხოფერია მარიამი
27. ჯანაშია ლევანი
28. ჯუღელი თეა